ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**31-31223062**
თარიღი: **02/11/2022**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, მაჩხვარეთი, გვიმბალაური, ჩიბათის მაჟორიტარი დეპუტატის გიორგი ჩახვაძის

მოსახლეობასთან შეხვედრის ოქმი N1

მუნიციპალიტეტის დასახელება - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი.

შეხვედრის ადგილი - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მაჩხვარეთის ადმინისტრაციული ერთეული (ზენაიშვილების უბანი).

შეხვედრის ჩატარების თარიღი -31.10. 2022 წელი 13:00 საათი

შეხვედრას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, მაჟორიტარი დეპუტატი **გიორგი ჩახვაძე,** ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე **კარლო წილოსანი,** ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე **სპარტაკ კვაჭაძე,** საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **ლაშა სარჯველაძე,** მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ხათუნა ვადაჭკორია,** მოწვეული პირები.

გიორგი ჩახვაძემ განაცხადა რომ, თოთოეული მოქალაქე მიდის მასთან და ითხოვს პრობლემის მოგვარებას. სოციალური კუთხით დახმარებები მეტ-ნაკლებად მოგვარებულია, მაგრამ პრობლემურია და დიდ თანხებთანაა დაკავშირებული ინფრასტრუქტურული პროექტები.

მისი გადაწყვეტილებაა, როგორც მაჟორიტარი დეპუტატი, გუნდთან ერთად, შეხვდეს მაჩხვარეთის ყველა ამომრჩეველს და მოისმინოს ყველა პრობლემატური საკითხი. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას და დაალაგებს პრიორიტეტებს. შემდგომ შესაძლებელი გახდება ოთხ წლიანი სამუშაო გეგმის ფორმირება და ინფრასტრუქტურული კუთხით განკუთვნილი თანხის სწორად მიმართვა. მოიწვევენ მთლიანად სოფლის მოსახლეობას, გააცნობენ სამოქმედო გეგმას და ყველა მოქალაქეს ეცოდინება რა უნდა გაკეთდეს.

გიორგი ჩახვაძემ მოსახლეობას თხოვნით მიმართა, ესაუბრათ ყველა არსებულ პრობლემებზე, რომელიც სამუშაო გეგმაში იქნება გათვალისწინებული.

მანანა ზენაიშვილმა განაცხადა, რომ კუპრეიშვილის ქუჩიდან მათ უბანში ჩამოსახვევში დამონტაჟებულია ცხაური, მაგრამ გზასთან შეუსაბამოა და ჩამოსვლა შეუძლებელია.

დავით ზენაიშვილმა განაცხადა, რომ გასულ წლებში საკუთარი ხარჯებით 18

ოჯახმა დაამონტაჟა 16 ტონიანი წყლის ავზი, მაგრამ წყლის დებეტი არა არის საკმარისი, წყლის მილები შეძენილია და ესაჭიროებათ სათავე ნაგებობების მოწესრიგება.

მერაბ ზენაიშვილმა განაცხადა, რომ წვიმის დროს ეზოებიდან გამოსვლა შეუძლებელია, ესაჭიროებათ სანიაღვრე არხი, გზის ერთ მხარეს მაინც. სამი პატარა ქუჩის კვეთაა და სიგრძით დაახლოებით 1 000 მეტრია. რის შემდგომაც შესაძლებელი გახდება ასფალტის საფარის დაგება.

სოფლის ტერიტორიაზე გარე განათება გაკეთებულია, მაგრამ დარჩენილია 11 შვილიანი ოჯახის (შოთა ნოზაძე) მიმდებარე ტერიტორია, რომელიც ქუჩის ბოლოსაა. სამი ნათურის დამონტაჟება საკმარისია.

თემურ ურუშაძემ, შალვა ზენაიშვილმა და მურმან კუკულავამ განაცხადეს, რომ მიმდინარე წელს საყანე ფართობები ვერ დაამუშავეს, რადგანაც შემოსაღობია.

გიორგი ჩახვაძემ განაცხადა, რომ არსებულ პრობლემებს განიხილავს მუნიციპალიტეტის მერთან ერთად და ეცდება პრობლემების დროულად მოგვარებას.

პატივისცემით,

გიორგი ჩახვაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე